„ვამტკიცებ"

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

---

22 ოქტომბერი 2024 წ.

<u>დ ე ბ უ ლ ე ბ ა</u>

სალიცენზიო შეჯიბრება სარეიტინგო ტურნირებისთვის 2008-2009 წლებში დაბადებულთა შორის (დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველო)

2024 წელი
9-10 მარტი
თბილისი - ზესტაფონი

I. შეჯიბრების მიზანი და ამოცანები

- ძიუდოისტთა შერჩევა 2008-2009 წლებში დაბადებულთა სარეიტინგო ტურნირებისთვის;

II. შეჯიბრების ხელმძღვანელობა

- შეჯიბრების ჩატარებას უზრუნველყოფს საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მიერ დამტკიცებული საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

III. შეჯიბრების მონაწილეები

- შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად დაიშვებიან 2008-2009 წელს დაბადებული ვაჟი ძიუდოისტები, რომელთაც არ მოუპოვებიათ სარეიტინგო ტურნირებში მონაწილეობის ლიცენზია. შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია წინასწარი გამოცდების ჩაბარება ძიუდოს საწყისებში. გამოცდაჩაუბარებელი ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.
- სალიცენზიო შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია მონაწილეს ჩარიცხული ჰქონდეს საწევრო გადასახადი 100 (ასი) ლარი საქართველოს ძიუდოს ფედერაციის საბანკო ანგარიშზე. რის შემდეგაც ძიუდოისტს უფლება ექნება მონაწილეობა მიიღოს ძიუდოს ფედერაციის მიერ წლის განმავლობაში ორგანიზებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (შეჯიბრება, სემინარი, შეკრება, გამოცდა და სხვ.). დამატებითი ინფორმაცია დოკუმენტაციის სახით შეგიძლიათ იხილოთ დანართში.
- [დებულება საწევროს შესახებ](#)
  [კალენდარი](#)
  [საწევროს სარეგისტრაციო ფორმა](#)
  [საბანკო ანგარიში](#) - საქართველოს ბანკი.
  მიმღების დასახელება - საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია.
  ბანკის კოდი - **BAGAGE22**
  მიმღების ანგარიშის ნომერი - **GE55BG0000000121179301**

IV. შეჯიბრების კენჭისყრა, ადგილი, დრო და რეგისტრაცია

- შეჯიბრება ჩატარდება 9-10 მარტს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში.
  აღმოსავლეთ საქართველო – თბილისი, ძიუდოს აკადემია, ბელიაშვილის 38.
  დასავლეთ საქართველო – ზესტაფონი, სპორტული სკოლის დარბაზი, რუსთაველის 8.
- კენჭისყრა ჩატარდება აწონვების შემდეგ.
- ჩამოსვლის დღე ტურნირზე – 8 მარტი, წასვლის დღე – 11 მარტი.
  შეჯიბრების დასაწყისი: 10:00* (შესაძლებელია ცვლილება).

რეგისტრაცია:

- ძიუდოისტთა რეგისტრაცია შესაძლებელია მხოლოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის ვებგვერდიდან (**http://gjf.ge/geo/calendar/georgia**) სპეციალური სარეგისტრაციო ფორმის შევსებით. კოდი - 1234
- შეჯიბრებაზე დაიშვებიან მხოლოდ ის სპორტსმენები, რომელთა პირადი მწვრთნელებიც 2024 წლის 5 მარტამდე ელექტრონულად შეავსებენ სარეგისტრაციო ფორმას.
- 6 მარტს ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდება მონაწილეთა სია. მწვრთნელები ვალდებულნი არიან გადაამოწმონ საკუთარი ძიუდოისტები და უზუსტობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობონ საორგანიზაციო კომიტეტს.
- რეგისტრაციის გარეშე ძიუდოისტები შეჯიბრებაზე არ დაიშვებიან.

V. შეჯიბრების ჩატარების სისტემა

- შეჯიბრება ჩატარდება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის წესების მიხედვით;
- ძირითადი შეხვედრების ხანგრძლივობა 4 წუთი (სუფთა დრო); დამატებითი დრო განისაზღვროს - ოქროს ქულამდე.
- შეჯიბრება ტარდება მხოლოდ პირად პირველობაში;
- შეჯიბრება ტარდება ვაჟთა შორის 8 წონით კატეგორიაში:
- -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ, -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ;
- 9 მარტი: -46კგ, 50კგ, -55კგ, -60კგ;
- 10 მარტი: -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ.
- **P.S.** რეგისტრაციის შემდეგ შესაძლებელია შეიცვალოს წონით კატეგორიებში შეჯიბრების ჩატარების დღეები.
- შეჯიბრებაში გამოვლინდებიან გამარჯვებულები და პრიზიორები.

VI. აწონვა

აწონვები ჩატარდება წონითი კატეგორიების მიხედვით შეჯიბრების ჩატარების ადგილებზე.

- 8 მარტი: -46კგ, -50კგ, -55კგ, -60კგ;
- 9 მარტი: -66კგ, -73კგ, -81კგ, +81კგ.

არაოფიციალური 16:30 – 17:00 საათამდე;
ოფიციალური 17:00 – 18:00 საათამდე;

VII. შეჯიბრების ჩატარების ხარჯები

- სპორტსმენთა, მწვრთნელთა და წარმომადგენელთა სამივლინებო ხარჯებს (მგზავრობა, ღამისთევა, კვება) გაიღებენ მომავლინებელი ორგანიზაციები.
- შეჯიბრების ჩატარების ხარჯებს (დარბაზის მომსახურება, საორგანიზაციო საკითხები, მსაჯების ხელფასი და სასტუმრო, მედპერსონალის ხელფასი და სხვა) უზრუნველყოფს საორგანიზაციო კომიტეტი საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან ერთად.

საორგანიზაციო კომიტეტი:
აღმოსავლეთ საქართველო – 577994407 ზურაბ უსუფაშვილი.
დასავლეთ საქართველო – 599925662 ზაზა მახათაძე
ფინანსური საკითხები: 577994420 ინგა რაზმაძე, 558132632 ქეთი მიხელიძე.

P.S.

- სპორტსმენის, მწვრთნელის, წარმომადგენლის მიერ განხორციელებული დარღვევის შემთხვევაში ფედერაციის აღმასკომი იმსჯელებს დისციპლინარულ საკითხებზე.
- აკრძალულია ძიუდოისტებისთვის წონის კლება წონით კატეგორიაში მოსახვედრად. ძიუდოისტმა შეიძლება დაიკლოს მაქსიმუმ 1 (ერთი) კილოგრამი. ძიუდოს ფედერაციის მხრიდან მკაცრად იქნება გაკონტროლებული მონაწილეთა წონები და შესაძლებელია კონტროლი შეჯიბრების მიმდინარეობის დროსაც. იმ მწვრთნელთა მიმართ, რომელთა ძიუდოისტებიც დაარღვევენ წონის კლების დებულებას, ფედერაცია გაატარებს შესაბამის ღონისძიებებს.

ფედერაციის პრეზიდენტი — გიორგი ათაბეგაშვილი